ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#6

28 მაისი 2024 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: მურად ბურჯანაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გურამი კიკნაველიძე
გია სახამბერიძე
გვანცა გრძელიძე
ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - საბიუჯეტო განყოფილება - განყოფილების უფროსი: ვაჟა ჩაფიჩაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლი: თამთა ჯიხვაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ მელაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი: გია თავაძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში: რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ“

   მომხს: ლერი გუმბერიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

   მომხს: ვლადიმერ მელაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - საბიუჯეტო განყოფილება - განყოფილების უფროსი: ვაჟა ჩაფიჩაძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - საბიუჯეტო განყოფილება - განყოფილების უფროსი: ვაჟა ჩაფიჩაძემ განცახადა, რომ პირველი კვარტლის მონაცემებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 83,3 % -ით გეგმა შეადგენდა 4,833,0 ათ ლარს ფაქტმა შეადგინა 4,047,9 ათ ლარი გადასახდელების გეგმა შესრულებულია 90 % -ით

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ“ მიმოხილვისათვის გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას

კომისიამ გადაწყვიტა: „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ“ მიმოხილვისათვის გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას

შენიშვნები:

1. შეუსრულებელია I კვარტლის პროგნოზებით გათვალისწინებული გადასახადების პროგნოზებით გათვალისწინებული გადსახადების პროგნოზები. 2676,6 ათ ლარის ნაცვლად მიღებულია 2313,8 ათ ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 76,4% ით. სხვა შემოსავლები - 381,3 ათ ლარის ნაცვლად მიღებულია 340,9 ათ ლარი. ანუ გეგმა შესრულებლუა 89,4 % ით. არაფინანსური აქტივების ზრდა 1454,6 ათ ლარის ნაცვლად შესრულებულია 1255,9 ათ ლარით. ანუ 198,7 ათ ლარით ნაკლები. და სხვ. ყოველივე აღნიშნული არასწორი პროგნოზირების შედეგია.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა: ვლადიმერ მელაძემ

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ მიიღოს კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ მიიღო კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე